

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კვლევითი დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. «კვლევითი დეპარტამენტი» (შემდგომში - დეპარტამენტი) არის ააიპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას
 - 1.2. დეპარტამენტის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულებია დოქტურანტურის პროგრამა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თანამედროვე სწავლების ცენტრი. დეპარტამენტი ასევე კოორდინაციას უწევს ინსტიტუტის სკოლებში მიმდინარე კვლევებს.
 - 1.3. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით, სხვა ნორმატიული აქტებით, ინსტიტუტის შინაგანაწესით და ამ დებულებით.
 - 1.4. დეპარტამენტის დებულებას, მუშაობის გეგმას, გრაფიკს იხილავს და ამტკიცებს ინსტიტუტის რექტორი
 - 1.5. დეპარტამენტის ხელმძღვანელია დეპარტამენტის დირექტორი
- კვლევის დეპარტამენტის მმართველი ორგანოა მმართველობითი საბჭო, რომელშიც შედიან უნივერსიტეტის სკოლების დეკანები ან თითოეული სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები

მუხლი 2. დეპარტამენტის მიზნები

- 2.1 დეპარტამენტის მიზანია:
- ა) უმაღლესი განათლებისა და საზოგადოებრივი კვლევის პროცესებისთვის, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მქონე სისტემისთვის, შექმნას მსოფლიო გამოცდილებასა და ცოდნაზე დაფუძნებული, უმაღლესი სწავლების პროცესის ხელშემწყობი სტრუქტურა და პროგრამა.
 - ა) ინსტიტუტის სკოლებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს და განახორციელოს სამეცნიერო კვლევითი პროექტები, მოამზადოს სამეცნიერო კონფერენციები და სემინარები
 - ბ) სკოლებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს ინსტიტუტის სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირება სოციალურ მეცნიერებებში
 - დ) განავითაროს საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა;
 - ე) ხელი შეუწყოს ინსტიტუტს სამეცნიერო კადრების მომზადებაში;
 - ვ) იზრუნოს უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და აკადემიური გარემოს მუდმივ განვითარებაზე

ზ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში წარმოებული კვლევების შედეგების გამოცემას (ელექტრონული და/ან ბეჭდური სახით).

მუხლი 3. დეპარტამენტის მართვის ორგანოები და სტრუქტურა

- 3.1 დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას წარმართავს მმართველობითი საბჭო
- 3.2 დეპარტამენტის ყოველდღიურ ადმინისტრაციულ/საორგანიზაციო საქმიანობას ხელმძღვანელობს დეპარტამენტის დირექტორი,
- 3.3 დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სადოქტორო პროგრამა, თანამედროვე სწავლების ცენტრი.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- 4.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაკომპლექტებულია სკოლების წარმომადგენლებისგან და მათთან კოორდინაციით უზრუნველყოფს სწავლისა და სწავლების ხარისხის მუდმივ ამაღლებას, კოორდინაციას უწევს აღნიშნულ პროცესს.
- 4.2 ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია ინსტიტუტის ავტორიზაცია/აკრედიტაციის ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაზე. სავალდებულო პროცედურების წარმატებით გავლისათვის აკრედიტაციის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის ინსტიტუტებთან, მოიძიებს ინფორმაციას აღნიშნული მიმართულებით და მოყავს პროგრამები მოთხოვნილ სტანდარტებთან შესაბამისობაში
- 4.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია სკოლებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს ინსტიტუტის ინტეგრაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში
- 4.4 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია ინსტიტუტის რექტორის წინაშე.

მუხლი 5. კვლევით დეპარტამენტში არსებული სადოქტორო პროგრამა.

- 5.1. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს ამავე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-სამეცნიერო ერთეულს, რომელიც ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.
- 5.2. სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის მიზნები და ამოცანები
 - ა) აღზარდოს საერთაშორისო პრაქტიკასა და დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პროფესიონალები სოციალური მეცნიერებების დარგში

ბ) სოციალური მეცნიერებების სპეციალობით დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და განხორციელება

გ) ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და გაფართოება.

5.2.1. დოქტორანტურის პროგრამის ამოცანაა უზრუნველყოს სტუდენტის მიერ:

ა) მეცნიერული კვლევისთვის თანამედროვე მეთოდების ათვისება;

ბ) უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და განათლების სისტემის მართვის მეთოდების შესწავლა;

გ) კონკრეტული სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების ღრმად შესწავლა;

დ) სადოქტორო ნაშრომის (დისერტაციის) მომზადებისთვის ხელშეწყობა.

5.3 დოქტორანტურის პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში სტუდენტი იღებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტი:

ა) ფლობს მის სფეროსთან დაკავშირებულ ჩვევებსა და მეთოდებს,

ბ) შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება,

გ) აქვს ახალი იდეების და კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზის, შეფასების და სინთეზის უნარი,

დ) შეუძლია სამეცნიერო საზოგადოებასთან ადეკვატური კომუნიკაცია ცოდნის საკუთარ სფეროში.

5.4 GIPA-ს სადოქტორო პროგრამა ინდივიდუალურია და შედგება როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტებისგან.

ა) GIPA-ს დოქტორანტურის მინიმუმს წარმოადგენს 3 აკადემიური წელი(6 სემესტრი) და მოიცავს მინიმუმ 180 კრედიტს, რომელშიც შედის, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი სამუშაო საათები. ამ პერიოდის განმავლობაში დოქტორანტი აგროვებს კრედიტებს სალექციო კურსების, პუბლიკაციების და პედაგოგიური საქმიანობის საფუძველზე. გარდა ამისა დოქტორანტს ეძლევა მეოთხე წელი დისერტაციის დაცვისათვის, რომლის განმავლობაშიც თავისუფლდება დამატებითი ფინანსური ვალდებულებისაგან.

ბ) დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა, დისერტაციის ხელმძღვანელთან ერთად, თვითონ გადაანაწილოს კრედიტების მოპოვების აქცენტები.

გ) ეს გადაანაწილება უნდა განიხილოს და დაამტკიცოს სადისერტაციო საბჭომ.

დ) ამავე საბჭომ უნდა დაამტკიცოს დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე კანდიდატის მიერ კვლევით სამუშაოსთან დაკავშირებული მოპოვებული კრედიტები, თუ ასეთი არსებობს. კრედიტების გადმოტანა შეიძლება განხორციელდეს საქართველოში არსებული აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლებიდან ან უცხოური უმაღლესი სასწავლებლებიდან, რომლებიც არგუმენტირებულად აღიარებული იქნება სადისერტაციო საბჭოს მიერ.

ინსტიტუტის სადოქტორო პროგრამა დოქტორანტს ეხმარება სადოქტორო დისერტაციის მომზადებაში:

ა) სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევით

ბ) კვლევითი სამუშაოს ჩასატარებლად სათანადო პირობების შექმნით

გ) აუცილებელი სასწავლო კომპონენტით

დ) ხელს უწყობს დოქტორანტის მონაწილეობას როგორც ინსტიტუტის სხვადასხვა სკოლებში მიმდინარე პედაგოგიურ საქმიანობაში, ისე ინსტიტუტის პროგრამების ფარგლებში წარმოებულ კვლევებში, კონფერენციებში და სემინარებში.

5.5 GIPA -ს სადოქტორო სპეციალობები შესაბამისობაშია დადგენილ კვალიფიკაციის ჩარჩოსთან

5.5.1 სადოქტორო პროგრამაში არსებულ სპეციალობებს კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისობაშია საქიროების მიხედვით ამტკიცებს სამეცნიერო საბჭო

5.5.2 სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი პირობაა მისი ფინანსური უზრუნველყოფა. პროგრამის დაფინანსება შეიძლება ხორციელდებოდეს სამეცნიერო გრანტით, სპეციალური სახელმწიფო პროგრამით, საუნივერსიტეტო დაფინანსებით, თვითდაფინანსებით, ქველმოქმედების საფუძველზე და სხვა სახის დაფინანსებით, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. დოქტორანტი შეიძლება მუშაობდეს ინსტიტუტში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე და ფინანსდებოდეს ინსტიტუტის ბიუჯეტიდან შესაბამისი ანაზღაურების წესით. ინსტიტუტი უფლებამოსილია გადაუხადოს სწავლის საფასური სადოქტორო პროგრამის სტუდენტს, რომლის შერჩევა მოხდება შესაბამისი სკოლის დეკანატის გადაწყვეტილების საფუძველზე, დოქტორანტის მიერ სკოლის განვითარებაში შეტანილი წვლილის ან განსაკუთრებული აკადემიური აქტივობის მიხედვით (სკოლისათვის ჩატარებული კვლევა, მონაწილეობა სკოლისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებში, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე და ა. შ.).

მუხლი. 6. სადოქტორო პროგრამის მართვის ძირითადი ორგანოები.

6.1. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო საბჭო არის სადოქტორო პროგრამის ძირითადი მმართველი ორგანო, იგი ირჩევს და დასამტკიცებლად წარადგენს სადისერტაციო საბჭოს.

ა) GIPA-ს სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო არის GIPA-ს სადისერტაციო საბჭო, რომელიც გახლავთ პროგრამის წარმომადგენლობითი ორგანო და კომპლექტდებადარგის საქიროების მიხედვით, სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით, როგორც მისი შემადგენლობიდან, ასევე სკოლების აკადემიური პერსონალიდან და/ან მოწვეული ექსპერტებიდან.

ბ) სადისერტაციო საბჭო შედგება 5 წევრისგან, მათგან ერთი არის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს შემადგენლობას კვლევითი დეპარტამენტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სრული და ასოცირებული პროფესორები და/ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები.

გ) დაცვის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს ყველა წევრი;

დაცვის საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების 2/3

6.1.1. სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

6.1.2 სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩეული წევრი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი იმ დარგში ან ქვედარგში რომელშიც იცავს დოქტორანტი ხარისხს.

6.1.3 სამეცნიერო/სადისერტაციო საბჭოს წევრს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას

6.1.4 სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პირადი სურვილით

ბ) სამეცნიერო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თუ საბჭოს თავმჯდომარე არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება

6.2. სამეცნიერო საბჭოს ფუნქციაა:

ა) სადოქტორო პროგრამის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა სოციალური მეცნიერებების სფეროში და შესაბამის დარგებში დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

ბ) ინსტიტუტის კვლევით პროექტებში მონაწილეობა

გ) სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა არანაკლებ 2/3-ისა.

იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო საბჭოს რომელიმე წევრი ვერ ესწრება საბჭოს მოცემულ სხდომას, მას უფლება აქვს თავისი გადაწყვეტილება წერილობით ან ელექტრონული ფორმით, გაუგზავნოს საბჭოს თავმჯდომარეს ან გადასცეს საბჭოს რომელიმე წევრს საკუთარი ხმის უფლება სხდომაზე მოსახსენებლად. ეს ქმედება აისახება სხდომის ოქმში.

სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილებები ელექტრონული წესით

დ) სამეცნიერო საბჭოს წევრს უფლება აქვს მოითხოვოს სხდომის ოქმში მისი განსაკუთრებული აზრის დაფიქსირება, მიუხედავად კენჭისყრის შედეგებისა. საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროების შემთხვევაში და მისი მუშაობა აისახება შესაბამის ოქმებში. ეს ოქმები ინახება ინსტიტუტის ადმინისტრაციაში.

6.3 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორი:

6.3.1 GIPA -ს სადოქტორო პროგრამის მუშაობას წარმართავენ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის კოორდინატორი, აღნიშნულ პირებს თანამდებობაზე ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

6.3.2 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებაა;

ა) მონიტორინგი გაუწიოს ინსტიტუტის დოქტორანტურის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას

ბ) პროგრამის კოორდინატორთან და სამეცნიერო საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს დებულება, განვითარების გეგმა და გადასცეს რექტორს დასამტკიცებლად

დ) განსაზღვროს აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლების ანაზღაურების ოდენობა და წარუდგინოს რექტორს დასამტკიცებლად

ვ) პროგრამის კოორდინატორთან ერთად შეიმუშაოს პროგრამის სტრუქტურა და საშტატო განრიგი და გადასცეს რექტორს დასამტკიცებლად

ზ) დადგენილი წესით დაიქირაოს/გაათავისუფლოს კვლევითი პროგრამის ადმინისტრაციის თანამშრომელი რექტორთან შეთანხმებით

თ) წარმოადგინოს კვლევითი პროგრამა მესამე პირებთან ურთიერთობაში.

6.4.3 პროგრამის კოორდინატორის უფლებამოსილებაა:

ა) წარმართოს სადოქტორო პროგრამის ყოველდღიური სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობა

ბ) შეიმუშაოს პროგრამის წლიური ბიუჯეტი, დაგეგმოს ყოველთვიური ხარჯები

გ) შეიმუშაოს პროგრამისათვის საჭირო დოკუმენტაცია და გადასცეს სამეცნიერო საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

დ) იზრუნოს პროგრამის განვითარებისათვის

ე) იზრუნოს ბოლონიის პროცესი/განათლების რეფორმაში ჩართულობაზე

ვ) კვლევითი დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით წარმოადგენდეს სადოქტორო პროგრამას მესამე პირებთან ურთიერთობაში

მუხლი 7. დოქტორანტი

დოქტორანტურის სტუდენტი უფლებამოსილია:

7.1 მიიღოს ყველა აუცილებელი სასწავლო მასალა სასწავლო პროცესის მართებულად წარმართვისა და ხარისხიანი განათლების მისაღებად

7.2. მიენიჭოს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი შესაბამის სპეციალობაში სასწავლო და კვლევითი პროგრამის წარმატებულად დასრულების შემთხვევაში

- 7.3. გამოიყენოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ქსელი და სხვა მატერიალური რესურსები სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის
- 7.4. მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით აუცილებელი ინფორმაცია კვლევითი პროგრამის ადმინისტრაციასა და აკადემიური პერსონალისგან
- 7.5. მიიღოს მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში
- 7.6. ყოველ 6 თვეში წარუდგინოს პროგრამას მისი მეცნიერებებმდგანელოთ მუშაობის შეფასება
- 7.7. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გადავიდეს სხვა უმაღლეს სასწავლებელში და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსება გადაიტანოს მისთვის სასურველ დაწესებულებაში
- 7.8. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უნივერსიტეტისგან, სახელმწიფოსგან ან სხვა წყაროდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან სხვა მატერიალური დახმარება
- 7.9. ინსტიტუტი უფლებამოსილია გადაუხადოს სწავლის საფასური სადოქტორო პროგრამის სტუდენტს, რომლის შერჩევა მოხდება შესაბამისი სკოლის დეკანატის გადაწყვეტილების საფუძველზე, დოქტორანტის მიერ სკოლის განვითარებაში შეტანილი წვლილის ან განსაკუთრებული აკადემიური აქტივობის მიხედვით (სკოლისათვის ჩატარებული კვლევა, მონაწილეობა სკოლისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებში, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე და ა. შ.) სწავლის საფასურის გადახდის შემთხვევაში ინსტიტუტი უფლებამოსილია დოქტორანტს მოსთხოვოს გარკვეული აკადემიური/პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ინსტიტუტის ფარგლებში, რომლის პირობები განისაზღვრება ინსტიტუტსა და დოქტორანტს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.
- 7.10. პერიოდულად მიიღოს მონაწილეობა ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებაში
- 7.11. აირჩიოს სასწავლო პროგრამა
- 7.12. თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესის შესაბამისად
- 7.13. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი
- 7.14. გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობითა და ინსტიტუტის შინაგანაწესით მინიჭებული ყველა უფლება
- 7.15. დოქტორანტურის სტუდენტი ვალდებულია:
 - 7.15.1. დაიცვას უნივერსიტეტის მიერ დადგენილი დისციპლინური მოთხოვნები, ბრძანებები და შინაგანაწესი
 - 7.15.2. დამოუკიდებლად და კეთილსინდისიერად ჩააბაროს გამოცდები და ჩათვლები დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად
 - 7.15.3. კეთილსინდისიერად გამოიყენოს და გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებსა და სხვა ქონებას
 - 7.15.4. ჩამოაყალიბოს და შეინარჩუნოს სასწავლო პროცესში თანაკურსელებთან, ლექტორებთან და უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლებთან კორექტული ურთიერთობა

7.15.5. არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანს მიაყენებს ინსტიტუტს.

მუხლი 8. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

8.1 . სამეცნიერო საბჭო უზრუნველყოფს დოქტორანტს ხელმძღვანელით. ამასთან, დოქტორანტი უფლებამოსილია თვითონ აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი.

8.2 . დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი აგრეთვე ინსტიტუტის გარეთ არსებული პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი ხარისხი.

8.3 . სამეცნიერო ხელმძღვანელს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სფეროში უნდა ჰქონდეს კვლევის გამოცდილება (გამოქვეყნებული სამი ნაშრომი მაინც).

8.4 . სამეცნიერო ხელმძღვანელი ზედამხედველობას და კონტროლს უწევს დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური გეგმის შესრულებას, ხელს უწყობს დოქტორანტს საკვლევი თემის დამოუკიდებლად დამუშავებაში.

8.4.1 დოქტორანტის დასაბუთებული განცხადებით დასაშვებია დისერტაციის თემისა და/ან ხელმძღვანელის შეცვლა დოქტორანტურის ნებისმიერ ეტაპზე. დისერტაციის თემის შეცვლის ან სათაურის დაზუსტებისთვის დამატებით აუცილებელია დოქტორანტის ხელმძღვანელის წერილობითი დასაბუთება.

8.4.2 სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია პროგრამას ყოველ 6 თვეში წარუდგინოს დოქტორანტთან ინდივიდუალური მუშაობის შეფასება

8.4.3 დოქტორანტისთვის სამეცნიერო თემის და/ან სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს წყვეტს სამეცნიერო საბჭო.

8.5 . სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს სწავლების ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას ხელმძღვანელობაზე, რის თაობაზე სამეცნიერო საბჭოს წარუდგენს დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას.

მუხლი 9. სადისერტაციო ნაშრომი

დისერტაცია, ანუ სადოქტორო ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი წერს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობის შედეგს, სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სიახლეს/ახალ ცოდნას და წვლილი შეჰქონდეს შესაბამისი სამეცნიერო დარგის განვითარებაში.

მუხლი 10. თანამედროვე სწავლების ცენტრი

10.1 თანამედროვე სწავლების ცენტრი

ა) სკოლებთან თანამშრომლობით ზრუნავს უნივერსიტეტში აკადემიური გარემოს გაუმჯობესებისათვის

ბ) პერიოდულად აწყობს სამუშაო შეხვედრებს/ტრენინგებს სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის მუდმივისრულყოფისათვის

გ) ცენტრის ფუნქციონირებას კოორდინაციას უწევენ კვლევითი დეპარტამენტის თანამშრომლები

მუხლი 10. კვლევითი დეპარტამენტის დირექტორი

10.1 კვლევითი დეპარტამენტს წარმოადგენს დირექტორი, რომელიც ინიშნება ინსტიტუტის რექტორის მიერ

10.2 კვლევითი დეპარტამენტის დირექტორი:

ა) წარმართავს დეპარტამენტის ადმინისტრაციულ საქმიანობას ინსტიტუტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

ბ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის ეფექტურ საქმიანობას;

გ) პასუხისმგებელია ინსტიტუტის მართვის ორგანოთა აქტების შესრულებაზე;

დ) ახორციელებს ინსტიტუტის აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

10.3.1 დირექტორს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) ინსტიტუტის რექტორის ბრძანების საფუძველზე

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის საფუძველზე

დ) სასამართლოს მიერ ქმედუწაროდ ან შეზღუდულქმედუწარიანად აღიარების შედეგად

მუხლი 11. დაფინანსება

11.1 კვლევითი დეპარტამენტის დაფინანსება ხორციელდება ინსტიტუტის ბიუჯეტიდან.

11.2 კვლევითი დეპარტამენტის დაფინანსების წყარო შეიძლება გახდეს:

ა) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ბ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;

გ) შემოწირულობები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

11.3. სადოქტორო პროგრამა ფუნქციონირებს თვით- დაფინანსების საფუძველზე, რაც შეიძლება იყოს დადგენილი სწავლის საფასური, სკოლების მიერ დოქტორანტისათვის გამოყოფილი სწავლის გადასახადი, გრანტებით მიღებული შემოსავალი, შემოწირულობები, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

მუხლი 12. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. აღნიშნული დებულება ძალაშია უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცების მომენტიდან.